BPN
Business Professionals Network

BPN -ის სახელმძღვანელო პრინციპი

BPN -ის ხედვა და მისია

ფონდი-ბიზნეს პროფესიონალთა ქსელი(BPN) გვთავაზობს ახალ პერსპექტივებს და განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ამით სარგებლობენ მეწარეები, მათ საწარმოებში დასაქმებული ადამიანები, მათი ოჯახები, სოციალური გარემო და ზოგადად მთელი ქვეყანა. BPN-ი ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. სწორედ ამ მიზნით, რაც შეიძლება მეტი სტაბილური სამუშაო ადგილის შექმნას ემსახურება BPN-ის პროგრამა, რომელიც გულისხმობს გამოცდილების, ცოდნის გაზიარებას, მეწარმეების ქოუჩინგს და საკრედიტო მხარდაჭერას.

ჩვენი სურვილია, განვითარებად ქვეყნებში ნიჭიერი ხელოსნებისა და მცირე მეწარმეების პოტენციალისათვის ხელის შეწყობა. ჩვენ ვეხმარებით მათ საჭირო აღჭურვილობის შეძენაში, მხარში ვუდგავართ, რომ წარმატებით და პროფესიონალურ დონეზე მართონ საკუთარი საქმიანობა. ამგვარად ხდება არაერთი სამუშაო ადგილის შექმნა, რაც ამ მეწარმეთა ოჯახების, მათი თანამშრომლებისათვის უკეთესი მომავლის წინაპირობაა და ამავდროულად იქმნება სხვადასხვა სამეწარმეო და საზოგადოებრივი ღირებულებებიც.

ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს ღირებული და მაღალეფექტური. ჩვენი სიმბოლური დევიზი:

«მიეცი კაცს თევზი და მას დააპურებ ერთი დღით, ასწავლე მას თევზის დაჭერა და შენ ამით მთელ მის ოჯახს გამოკვებავ მთელი ცხოვრების მანძილზე, დაეხმარე მას, ააშენოს თევზსაჭერი საწარმო და შენ მისცემ საკვებს მის ყველა თანამშრომელს და ასევე მათ ოჯახებს.»

BPN-ი ისწრაფვის ხარისხიანი და რაოდენობრივი ზრდისაკენ. ფინსანსური რისკები მინიმუმამდე დაიყვანება. ჩვენი გრძელვადიანი მიზანია, რომ ქვეყანა, სადაც ჩვენი პროგრამა ხორციელდება, თავისი სერვისებით და ადგილობრივი სახსრებით ფინანსურად უფრო და უფრო დამოუკიდებელი გახდეს.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება ქრისტიანულ-ეთიკურ ღირებულებებს.

ჭეშმარიტებასა და ავთენტურობაზე დაფუძნებული ჩვენი ქმედება ემსახურება მშვიდობას, სამართლიანობას, კეთილდღეობასა და სტაბილურობას. ადამიანთა მიმართ პატივისცემა და სიყვარული, ინტეგრაცია, ზომიერება, სიბეჯითე, პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილსინდისიერება - ეს ის პრინციპებია, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნულ და ასევე საქმიან წარმატებას და კმაყოფილებას განაპირობებს. ჩვენი საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ცალკეული ადამიანი, როგორც პიროვნება და ასევე მთლიანი საზოგადოება.

ჩვენ ვაშენებთ ნდობაზე, ჩვენი ურთიერთობები არის ზუსტი და ჭეშმარიტი.

შიდა და გარე ურთიერთობებში ჩვენ ჭშმარიტებას ვემხრობით და სიფრთხილით ვეკიდებით ყველაფერს, რასაც ვამბობთ ან წერილობით ვაცხადებთ. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, შევქმნათ კარგი სამუშაო გარემო, ვუფრთხილდებით ურთიერთობებს მხარდამჭერებთან, ჩვენი პროგრამის მონაწილეებთან, მედია საშუალებებსა და სახელისუფლებო დაწესებულებებთან.

BPN Georgia | 5 Giorgi Akhvlediani Str. | Tbilisi
info@bpngeorgia.ge | www.bpngeorgia.ge



ჩვენ პატივს ვცემთ თანამშრომლებს, ხელს ვუწყობთ მათ და ამავე დროს ვართ მომთხოვნები.

BPN-ი პატივს სცემს თანამშრომელთა პიროვნულობას, მათ კულტურულ და რელიგიურ გარემოს. ვაძლევთ რა მათ დამატებითი განათლების მიღების საშულებას, ვუტარებთ ქოუჩინგებს და სიიტუაციის შესაბამის სწავლებას, ჩვენ ხელს ვუწყობთ მათი კომპეტენციების/უნარების კიდევ უფრო განვითარებას. თანამშრომლები ითავისებენ ჩვენს ხედვასა და ღირებულებებს, იღებენ პასუხისმგებლობას და თავიანთი აზროვნებითა და ქმედებით მისაბაძნი ხდებიან სხვებისათვის. ჩვენ მათგან მოველით, რომ ისინი ბეჯითად და კეთილსინდისიერად მოეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს. ჩვენი თანამშრომლები ერიდებიან პიროვნული ან თუნდაც BPN-ის ინტერესებიდან გამომდინარე კონფლიქტებს, რათა რაიმე ფორმით ხელი არ შეეშალოს ფონდის საქმიანობას.

ჩვენ ვსახავთ მიზნებს და სტრატეგიებს და მივყვებით მათ გამჭვირვალედ.

ფონდის საბჭო განსაზღვრავს ძირითად სამოქმედო სტრატეგიას და მუშაობის მიმართულებას. ოპერატიული მიზნების დასახვა ხდება ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების მიერ და პერიოდულად ხდება მათი გადახედვა.

თითოეულმა თანამშრომელმა იცის თავისი მიზნები და მისი მუშაობაც სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება.

ჩვენ პატივს ვცემთ პარტნიორების ღირსებებსა და უფლებებს, ასევე ჩვენს მიერ მხარდაჭერილ მეწარმეთა დამოუკიდებლობას.

ჩვენ სხვებსაც ისევე გვინდა მოვექცეთ, როგორ მოპყრობასაც თავად ვისურვებდით. BPN-ი პატივს სცემს პროგრამის მონაწილე მეწარმეთა დამოუკიდებლობას, ასევე მათ კულტურულ და რელიგიურ გარემოს. ჩვენ ვცდილობთ მათ ვასწავლოთ, რომ პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ადამიანთა ჯანმრთელობისა და მათი ღირსებების დაცვაზე. ჩვენს მიერ მხარდაჭერილი მეწარმეები იურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებლები არიან და თავიანთ ქმედებებზე თავადვე აგებენ პასუხს.

ჩვენ სიფრთხილით/მზრუნველობით ვეკიდებით რესურსების გამოყენებას.

ყველა თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით და სიფრთხილით მოეკიდოს მატერიალური და არამატერიალური ქონების, ფინანსების და სხვა მასზე მინდობილი რესურსების მოხმარებას. დაუშვებელია, პირადი სარგებლობისთვის იქნას გამოყენებული ის, რაც ფონდის კუთვნილებას წარმოადგენს.

ჩვენ ვასწავლით ჩვენს თანამშრომლებს, პროგრამის მონაწილეებს, რომ თითოეულ მათგანს გარემოს წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია და რომ ეს პასუხისმგებლობა უნდა დაუპირისპიროს პიროვნულ მოკლევადიან სარგებელს.

ჩვენ ვიცავთ ერთიანობის პრინციპს შიდა და გარე ურთიერთობებში.

როგორც ფონდი და როგორც ინდივიდები ჩვენ ვმოქმედებთ ერთიანობის პრინციპით და ვზრუნავთ BPN-ის კარგ რეპუტაციაზე. არც თანამშრომლები და არც მესამე პირი იღებს ჩვენგან და ასევე ჩვენ-მათგან ისეთ საჩუქარს, რომელსაც ვერ დავასახელებთ საჯაროდ. ხელისუფლებას სწორად ვაბარებთ ანგარიშს და მოტივაციას ვაძლევთ ჩვენს მეწარმეებს სხვადასხვა ქვეყნებში, მათაც იგივე გააკეთონ. ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ კორუფციას, მის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას, რადგან ის ხელს უწყობს სიღარიბეს, არღვევს ადამიანთა უფლებებს და ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას.